უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 40

20 14 წ. "12" 12

ქ.თბილისი

შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208215509) 2014 წლის 24 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3 300-ით.
2. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 12 დეკემბრის №13 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. მენეჯმენტი. 2. ფინანსები. 3. ტურიზმი. 4. ჟურნალისტიკა. 5. ფსიქოლოგია. 6. ინგლისური ფილოლოგია.	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში. 3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. 4. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში. 5. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში. 6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში.
მაგისტრატურა	1.საბანკო საქმე	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში.